დამტკიცებულია
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს
2022 წლის 28 თებერვლის № 34
გადაწყვეტილებით

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

[პროდუქტის დასახელება] ხელშეკრულება - (ხელშეკრულების თარიღი, ნომერი)

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი

- დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ცვლადი
- დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - %
- დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - %

- [დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი- %]

ფინანსური ხარჯები

- დეპოზიტის განაღდების საკომისიო:

– დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე თანხის ნაღდი სახით განთავსების შემთხვევაში - 0%

– დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე თანხის სხვა ანგარიშიდან ჩარიცხვის გზით განთავსების შემთხვევაში - 0.2% (ეროვნულ ვალუტაში); 0.5% (სხვა ვალუტაში)

- ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო:

– სს „ხალიკ ბანკი საქართველოსა“ და პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - 0.2 %

– სხვა ბანკების ბანკომატებში - 2%

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- დეპოზიტის ერთჯერადი შენატანი - ლარი [აშშ დოლარი] [ევრო]
- დეპოზიტის ვადა -
- მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება

ვადაზე ადრე გამოტანილ თანხაზე დარიცხული წლიური პროცენტი: 1 თვემდე ვადაში - 0%

1 თვეზე მეტი ვადისას -,,მოთხოვნამდე“ ანაბრისათვის იმ პერიოდისათვის ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი.

(დღეისათვის „მოთხოვნამდე“ ანაბრისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთი: -% ლარში,[-% აშშ დოლარში, ევროში])

გადაანგარიშების შედეგად ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებლის თანხა დაკავდება უკან დასაბრუნებელი ანაბრის თანხიდან.

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

[უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს]

[ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი -]

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

დამტკიცებულია
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს
2022 წლის 28 თებერვლის № 34
გადაწყვეტილებით

„გადახდებით“ ვადიანი საბანკო ანაბრის ხელშეკრულება №

საქართველო, ქ. თბილისი **20___ წლის ___ _____**

ერთის მხრივ სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველო", (ს/კ 205236537, იურიდიული მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო -საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო)“, და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში - მეანაბრე ან კლიენტი), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკი კლიენტის ანაბრის თანხის განთავსებისა და შენახვისათვის ხსნის სადეპოზიტო ანგარიშს, უხდის მას საპროცენტო სარგებელს და უბრუნებს ანაბარს იმავე ვალუტაში, ანაბრისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. **ანაბრის პირობები:**

2.1	კლიენტი	
2.2	ანაბრის ტიპი	გადახდებით
2.3	ანაბრის თანხა და ვალუტა	
2.4	ანაბრის ვადა და დასრულების თარიღი	0 (სიტყვიერად) თვე; 202_ წლის 00 თვე
2.5	ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი	% (სიტყვიერად)
2.6	ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	%
2.7	საპროცენტო განაკვეთის ტიპი	ცვლადი
2.8	ლარის შესაძლო 15%-იანი გამყარების შემთხვევაში ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	-%
2.9	საპროცენტო სარგებლის გადახდა	ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, რა რიცხვშიც იქნა გახსნილი ანაბარი
2.10	ანაბრის თანხა ჩამოიწეროს ანგარიშიდან	
2.11	ანაბრის თანხა ჩაირიცხოს სადეპოზიტო ანგარიშზე	
2.12	საპროცენტო სარგებლის და ანაბრის თანხა ჩაირიცხოს ანგარიშზე	
2.13	ანაბარზე თანხის დამატება/ნაწილობრივი გატანა	არ არის შესაძლებელი
2.14	ანაბრის პროლონგაცია (ვადის ავტომატური გაგრძელება)	პროლონგაციების რაოდენობა შეზღუდული არ არის. პროლონგაცია მოხდება ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული ვადით, პროლონგაციის დღეს ბანკში ამავე ტიპის ანაბარზე მოქმედი წლიური საპროცენტო განაკვეთით.
2.15	მეანაბრის ინიციატივით ანაბრის თანხის ვადამდე მოთხოვნის შემთხვევაში (ხელშეკრულების 2.4	ამ ხელშეკრულების (მ.შ. პროლონგირებულის) ამოქმედებიდან:

	პუნქტით დადგენილი ვადის (მ.შ. პროლონგირებულის) დარღვევა) დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთი	➢ 1 თვემდე ვადაში მოთხოვნისას – ანაბარს საპროცენტო სარგებელი არ დაერიცხება; ➢ 1 თვეზე მეტ ვადაში მოთხოვნისას - ადრე დარიცხული საპროცენტო სარგებელი სრულად გადაიანგარიშება ანაბრის ფაქტიური ვადის გათვალისწინებით და ანაბარს დაერიცხება დარღვევის მომენტში ბანკში „მოთხოვნამდე“ ანაბრისთვის მოქმედი საპროცენტო განაკვეთი. ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებლის თანხა დაკავდება დასაბრუნებელი ანაბრის თანხიდან.
2.16	ფინანსური ხარჯი	• დეპოზიტის განაღდების საკომისიო: – დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე თანხის ნაღდი სახით განთავსების შემთხვევაში - 0% – დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე თანხის სხვა ანგარიშიდან ჩარიცხვის გზით განთავსების შემთხვევაში - 0.2% (ეროვნულ ვალუტაში); 0.5% (სხვა ვალუტაში) • ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო: – სს „ხალიკ ბანკი საქართველოსა“ და პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - 0.2 % სხვა ბანკების ბანკომატებში - 2%

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

ბანკი ვალდებულია:

3. უზრუნველყოს ანაბრის ხელშეუხებლობა ხელშეკრულებით დადგენილი ვადით.
4. უზრუნველყოს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა ხელშეკრულების 2.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, ხელშეკრულების 2.12 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
5. ანაბრის ვადის დასრულების დღეს, მეანაბრის მიერ ანაბრის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუბრუნოს ანაბრის თანხა ხელშეკრულების 2.12 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
6. მეანაბრის ინიციატივით ანაბრის ვადამდე მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის მიღებიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში მეანაბრეს დაუბრუნოს ანაბრის თანხა კუთვნილი საპროცენტო სარგებლით (გადაანგარიშებული ხელშეკრულების 2.15 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად) ხელშეკრულების 2.12 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

7. უზრუნველყოს მეანაბრის ინფორმირება საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შესახებ მის განხორციელებამდე 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შესაბამისი წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით (წერილობით ან ელ. ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით). წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ ცვლილება ხორციელდება მეანაბრის სასარგებლოდ. ასევე, მეანაბრეს 1 თვით ადრე მიეწოდება ინფორმაცია ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ.
8. დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
9. დაიცვას საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდისას.
10. დაიცვას მეანაბრესთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება რომელიც ცნობილი გახდა მისთვის მეანაბრესთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება იმ ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას (საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად), რომლითაც არ ილახება მეანაბრის ინტერესები.

ბანკი უფლებამოსილია:

11. ხელშეკრულების ვადის მოქმედების განმავლობაში ანაბრის თანხა საკუთრების უფლებით მიიღოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12. ანაბრის მოქმედების ვადის დასრულების დღეს, თუ მეანაბრის მიერ ანაბრის თანხა არ იქნება გათხოვილი, ავტომატურად მოახდინოს ხელშეკრულების პროლონგაცია ხელშეკრულების 2.14 პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით.
13. საკუთარი გადაწყვეტილებით ცალმხრივად შეწყვიტოს „გადახდებით“ საბანკო ანაბრის მიღება და გააუქმოს ხელშეკრულებისა და ანაბრის ვადის შემდგომი პროლონგაცია. ამასთანავე, ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი/პროლონგირებული ხელშეკრულების მიხედვით საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება მათი ვადის გასვლის მომენტამდე. ანაბრის მიმდინარე ვადის გასვლის შემდგომ, ანაბრის ნაშთი და საპროცენტო სარგებელი ჩაირიცხება ხელშეკრულების 2.12 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე.
14. ცალმხრივად ამოიღოს ანაბრის და/ან საპროცენტო სარგებლის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ ანაბარი არის სესხის უზრუნველყოფის საგანი და/ან მეანაბრის მხრიდან ბანკის მიმართ არსებობს ნებისმიერი შეუსრულებელი ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობები ითვლება მეანაბრის მხრიდან დარღვეულად და მასზე გავრცელდება ხელშეკრულების 2.15 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
15. ცალმხრივად შეცვალოს ანაბარზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და/ან ხელშეკრულების სხვა პირობები ხელშეკრულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით, თუ სხვა რამ არ იქნება დადგენილი ბანკის მიერ.

მეანაბრე უფლებამოსილია:

16. მიიღოს სრული ინფორმაცია სადეპოზიტო ანგარიშის მდგომარეობის შესახებ.
17. მიიღოს ანაბრისა და საპროცენტო სარგებლის თანხა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
18. მიანდოს სხვა პირს ანაბრისა და საპროცენტო სარგებლის განკარგვის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. ბანკი არ აგებს პასუხს მეანაბრისათვის მიყენებულ ზიანზე იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე არ აცნობებს ბანკს მინდობილობის მის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
19. ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ანაბრის ვადაზე ადრე დაბრუნება ბანკისათვის ამგვარი შეტყობინების მიწოდებიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში.

მეანაბრე ვალდებულია:

20. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის უზრუნველყოს ხელშეკრულების 2.10 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული ოდენობით. ბანკის მიერ მეანაბრის დამატებითი დავალების გარეშე ხდება ხელშეკრულების 2.11. პუნქტით განსაზღვრულ სადეპოზიტო ანგარიშზე ანაბრის თანხის გადატანა, საპროცენტო სარგებლის დარიცხვას ბანკი განახორციელებს ანაბრის თანხის ხელშეკრულების 2.11. პუნქტით განსაზღვრულ სადეპოზიტო ანგარიშზე სრული ოდენობით ჩარიცხვის შემდეგ.
21. დაიცვას ხელშეკრულების პირობები. შეინახოს ხელშეკრულება და ბანკის მიერ გადაცემული ამ ხალშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი ხასიათის მქონე ყველა დოკუმენტი.

სხვა პირობები

22. ანაბრის გახსნისთვის თანხის მინიმალური ოდენობა შეადგენს 100 (ასი) ერთეულს ანაბრის ვალუტაში.
23. ანაბარზე საპროცენტო სარგებლის გაანგარიშება წარმოებს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო დღიდან, ანაბრის ვადის დასრულების დღის ჩათვლით. ანაბრის თანხის მიღებისა და დაბრუნების დღე ითვლება

ერთ დღედ. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კალენდარული დღეების ზუსტი რაოდენობა, ამასთან, წელიწადი იანგარიშება 365 დღით.

24. თუ ანაბრის მოქმედების ვადის დასრულების და/ან სარგებლის გადახდის თარიღი ემთხვევა ბანკის არასამუშაო დღეს, მაშინ ანაბრის თანხის და/ან საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს მომდევნო სამუშაო დღეს.
25. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ანაბრის ძირითად თანხაზე გადახდილი საპროცენტო სარგებლის გაუთვალისწინებლად.
26. ახალი ვადით პროლონგაციისას საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ძირითად თანხას, გადახდილი საპროცენტო სარგებლის გაუთვალისწინებლად. ხელშეკრულების პროლონგაცია (ხელშეკრულების 2.14 პუნქტით გათვალისწინებული) არ განხორციელდება, თუ მეანაბრის საბანკო ანგარიშების მიმართ გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
27. თუ ანაბრის თანხა აღმოჩნდება ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით დადგენილ თანხაზე ნაკლები და/ან არ იქნება ჩარიცხული სადეპოზიტო ანგარიშზე ამ ხელშეკრულების 20-ე პუნქტით დადგენილი წესით, ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად შეწყდება და ანგარიში დაიხურება.
28. თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული ანაბრის ვადა არ აღემატება 18 თვეს, საპროცენტო სარგებლის განაკვეთი რჩება უცვლელი ანაბრის ვადის განმავლობაში, თუ სხვა რამ არ იქნება დადგენილი ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.
29. თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული ანაბრის ვადა აღემატება 18 თვეს, მაშინ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი რჩება უცვლელი 18 თვის განმავლობაში ხელშეკრულების დადების დღიდან. ხელშეკრულების დადების დღიდან 18 თვის დასრულებისთანავე, ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებელი, მაგრამ არაუმეტეს ერთხელ ყოველი 12 თვის განმავლობაში, თუ სხვა რამ არ იქნება დადგენილი ბანკის მიერ. აღნიშნულის თაობაზე მეანაბრის ინფორმირება წარმოებს ხელშეკრულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით.
30. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ჩაითვლება დასრულებულად მხარეების მიერ მასში მოცემული ყველა პირობის შესრულებისას, სრული ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ. საკითხები, რომლებიც არ არის ხელშეკრულებით მოწესრიგებული, მაგრამ ეხება ხელშეკრულების საგანს, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
31. მეანაბრის მიერ ანგარიშის დახურვა აკრძალულია მისი მხრიდან ბანკის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში სადეპოზიტო ანგარიშის დახურვისას ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება.
32. ანგარიშის გახსნა და წარმოება, მეანაბრის სხვა სახის მომსახურება ბანკის მიერ ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით, ბანკის შიდა დოკუმენტების, მეანაბრესთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

ფორს-მაჟორული გარემოებები

33. დაუძლეველი (ფორს-მაჟორული) ძალის ამოქმედების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულება ბანკის მხრიდან მეანაბრის მიმართ ჩერდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება: სტიქიური უბედურება, ომი, ტერაქტები, სამხედრო/სამოქალაქო გადატრიალებანი, სახალხო მღელვარება, გაფიცვები, შეიარაღებული კონფლიქტები, ბლოკადები, ენერგომატარებლებისა და კავშირგაბმულობის ობიექტების პარალიზებანი, ასევე სხვა დაუძლეველი ძალა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მიერ ისეთი აქტების მიღება, რაც გამოიწვევს ბანკის მხრიდან ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას მეანაბრის მიმართ.

მხარეთა პასუხისმგებლობა. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

34. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
35. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, მათ შორის ანაბარზე საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გაზრდა, გარდა ხელშეკრულების 2.15, 13, 14, 15, 28 და 29 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება მხარეებს შორის ხელშეკრულებაზე თანდართული დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.
36. ყველა დავა და უთანხმოება, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს შორის ხელშეკრულების მოქმედების დროს, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.
37. მეანაბრე უფლებამოსილია წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www. halykbank.ge.

38. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მოხდება ქართულ ენაზე.

მხარეთა ხელმოწერები:	
ბანკი: სს ხალიკ ბანკი საქართველო მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. № 40 ტელ/ფაქსი: 032 2 24 07 07	მეანაბრე: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ტელეფონის ნომრები: E-mail: მისამართი: ბანკის ტარიფებს გავეცანი, ხელშეკრულების ეგზემპლიარი მივიღე
_____ ბანკის წარმომადგენელი	_____ კონტროლიორი _____ მეანაბრე